



რეკომენდაციები საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

ზოგადი სიტუაციური ანალიზი

საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებებს საკუთარ ვებგვერდებზე საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოები აქვეყნებენ. რაც შეეხება საერთო სასამართლოებს, მათთვის შექმნილია სპეციალური ვებგვერდი INFO.COURT.GE, რომელმაც „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილებით (შემდგომ „გადაწყვეტილება“), სასამართლო გადაწყვეტილებათა (პირველი და სააპელაციო ინსტანციები, ასევე უზენაესი სასამართლო) ერთიანი რეესტრის ფუნქცია უნდა იტვირთოს. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება გაჩნდა მართლმსაჯულები რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში “საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად.¹

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს,² რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ყველაზე კარგი მაგალითი ერთიანი პლატფორმის შექმნაა, სადაც ყველა ინსტანციის, მათ შორის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, იქნება ხელმისაწვდომი. ამდენად, საბჭოს გადაწყვეტილება ერთიანი პლატფორმის შექმნის თაობაზე უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს.

მართალია ერთიანი პლატფორმის შექმნა თავისთავად დადებითი ტენდენციაა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მასზე განთავსებული ინფორმაციის მოცულობის, ხელმისაწვდომობისა და აღქმადობის ხარისხი. ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ბუნებიდან გამომდინარე, მისი ტექნიკური დახვეწა განსაკუთრებით კი გამოქვეყნებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა თუ აღქმადობის გაუმჯობესება, დამუშავების სხვადასხვა მეთოდოლოგიის შექმნა მუდმივი და განვითარებადი პროცესია.

¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ [მესამე მოსმენით მიღებული ორგანული კანონის პროექტის](#) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

² იხ. თანდართული დოკუმენტი სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კვლევის შესახებ.

კოალიციის წევრები:
კონსტიტუციის 42-ე მუხლი
მრავალეროვანი საქართველო
საქართველოს მცირე და
საშუალო საწარმოთა
ასოციაცია
სამოქალაქო ინტეგრაციის
ფონდი
საქართველოს ადვოკატები
დამოუკიდებელი
პროფესიისათვის
ბიზნესისა და ეკონომიკის
ცენტრი
ლიბერალი
კონსტიტუციური უფლებების
დაცვის ცენტრი
სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება
კავშირი "21-ე საუკუნე"
საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა ცენტრი
საერთაშორისო
გამჭვირვალობა საქართველო
დემოკრატ მესხთა კავშირი
თავისუფლების ინსტიტუტი
სამოქალაქო განვითარების
სააგენტო
საქართველოს გაეროს
ასოციაცია
ევროპის იურისტ სტუდენტთა
ასოციაცია
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი
ფონდი ღია საზოგადოება
საქართველო
დემოკრატიის ინსტიტუტი
ამერიკის სავაჭრო პალატა
ევროპის ფონდი
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი
ადამიანის უფლებათა
პრიორიტეტი
თბილისის მედია კლუბი
ადამიანის უფლებების
სწავლებისა და
მონიტორინგის ცენტრი
იურიდიული განათლების
ხელშეწყობის ფონდი
სამოქალაქო ჩართულობის
ინსტიტუტი
საქართველოს იურიდიული
ფორუმის ასოციაცია
საქართველოს ახალგაზრდა
ეკონომისტთა ასოციაცია
საქართველოს ევროპული
არჩევანი
ლიბერალური აკადემია
თბილისი
პარტნიორობა ადამიანის
უფლებებისათვის
ადამიანის უფლებათა ქსელი
საქართველოს
დემოკრატიული ინიციატივა
კავშირი „საფარი“

აქედან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილებების რეესტრის (info.court.ge) პროგრამულ-ტექნიკური ინტერფეისი უნდა იძლეოდეს და ამარტივებდეს პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის მესამე პირების მიერ ავტომატური გადამუშავების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ საბჭოს გადაწყვეტილება ადგენს პროაქტიული გამოქვეყნების მინიმალურ სტანდარტებს და ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების უმრავლესი ნაწილის განხორციელების ხელშემშლელ დებულებებს არ შეიცავს. თუმცა, მნიშვნელოვანია იმპერატიულად დადგინდეს მინიმალური სტანდარტები, რომლებიც ხელს შეუწყობს info.court.ge-ზე გამოქვეყნებული სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

1. გამოსაქვეყნებელი დოკუმენტაციის მოცულობა

საბჭოს გადაწყვეტილების დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გამოქვეყნებას ექვემდებარება მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილებები. კონკრეტული საქმის ჯეროვანი ანალიზისთვის აუცილებელია ხელმისაწვდომი იყოს, აგრეთვე, შესაბამის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული სხვადასხვა საპროცესო მოქმედების/ეტაპის შემაჯამებელი (შუალედური აქტები). აღნიშნულიდან გამომდინარე, საბოლოო გადაწყვეტილებების საჯაროობასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ცალკეულ სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

განსახორციელებელი აქტივობა	სასამართლოს გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში (info.court.ge) სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებებთან ერთად გამოქვეყნდეს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული შუალედური აქტები
მექანიზმი	„საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა
პასუხისმგებელი ორგანო	იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2. გამოქვეყნებული დოკუმენტების დეპერსონალიზაცია

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება ბუნებრივია უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

“პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული მონაცემები დაცულია გამჟღავნებისგან, თუმცა აღნიშნული კანონის მოქმედება არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე. საბჭოს გადაწყვეტილების დანართის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში უნდა დაიფაროს იურიდიული პირის მონაცემები. აღსანიშნავია, რომ იურიდიულ პირის სახელწოდება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, ამასთან პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი არ იცავს იურიდიული პირების პერსონალური მონაცემებს. მართალია, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას მოთხოვნის შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის სახით გასცეს გამოქვეყნებული ინფორმაცია, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებების სრული სახით პროაქტიულად გამოქვეყნება მნიშვნელოვნად შეამცირებს სასამართლოსადმი მიმართვების რაოდენობას. აქედან გამომდინარე, ერთიანი რეესტრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის და სასამართლოს ადმინისტრაციის განტვირთვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სრულად გამოქვეყნდეს ინფორმაცია, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გასაჯაროებისგან არ არის დაცული.

განსახორციელებელი აქტივობა	სასამართლოს გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში (info.court.ge) არ მოხდეს იურიდიული პირების სახელწოდების დეპერსონალიზაცია
მექანიზმი	„საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა - დანართის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის ამოღება
პასუხისმგებელი ორგანო	იუსტიციის უმაღლესი საბჭო

საბჭოს გადაწყვეტილება ითვალისწინებს მხოლოდ პერსონალური მონაცემების, მაგრამ არა სახელმწიფო საიდუმლოების დაფარვის წესს. გადაწყვეტილების დანართის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს ბაზაში დაცულ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ გადაწყვეტილებაზე მოსამართლის დაშვების წესს.

სასამართლო გადაწყვეტილებებში მითითებული სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნებისგან დაცვას, ცხადია მხოლოდ მონაცემთა დეპერსონალიზაცია ვერ უზრუნველყოფს, აქედან გამომდინარე, უნდა ჩამოყალიბდეს

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაფარვისა და გადაწყვეტილების შესაბამისი ნაწილის გამოქვეყნების წესი.

განსახორციელებელი აქტივობა	განისაზღვროს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის დაფარვისა და სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესი.
მექანიზმი	„საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა.
პასუხისმგებელი ორგანო	იუსტიციის უმაღლესი საბჭო

3. სამიზნო კატეგორიები და ღია მონაცემთა ფორმატი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, სასამართლოს გადაწყვეტილებების რეესტრში სასურველი დოკუმენტის ძიება შემდეგი კატეგორიებით მოხდება: გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო, საქმის ნომერი, მიღების თარიღი, ადმინისტრაციული ორგანო, მოსამართლე, დავის საგანი, სამიზნო სიტყვა.

საჭიროა გაფართოვდეს კატეგორიების ჩამონათვალი და მას დაემატოს საქმის საბოლოო სტატუსის/შედეგით და მონაწილე მხარეთა მიხედვით (ადმინისტრაციული ორგანო, იურიდიული პირი, მაღალი საჯარო ინტერესის მქონე) ძიების ფუნქცია. სასურველია, ცალკე გამოიყოს პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებები. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებები. ასევე სასამართლოს, მოსამართლის, დავის საგნის, თარიღისა და ადმინისტრაციული ორგანოს დასახელების შემთხვევაში, სასურველია ჩამოშლილი იყოს ასარჩევი ვარიანტები. აღნიშნული გაამარტივებს მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მქონე, სამართლებრივი ნორმებისა და ტერმინების არმცოდნე პირის მიერ განხორციელებულ ძიების პროცესს.

სასურველია აგრეთვე სისტემას დაემატოს ცალკეული კატეგორიებით მოძებნილი სასამართლო საქმეების ძირითადი დეტალების ღია მონაცემთა (CSV და Excel-ი) ფორმატებში ექსპორტის განხორციელების საშუალება. აღნიშნული მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს არა მხოლოდ გაეცნოს სასურველი საქმეების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს, არამედ ცალკეული ტიპის საქმეებთან დაკავშირებით აწარმოოს სტატისტიკური აღრიცხვა ან მონიტორინგი.

განსახორციელებელი აქტივობები	Info.court.ge სამიზნო სისტემას დაემატოს გადაწყვეტილების ფილტრაცია შემდეგი სამიზნო კატეგორიების მიხედვით:
-------------------------------------	--

	საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებები; გადაწყვეტილების შედეგის მიხედვით; მონაწილე მხარეთა მიხედვით; Info.court.ge - ს დაემატოს ძეგლის შედეგებით გადმოწერის შესაძლებლობა CSV ან/და Excel ფორმატით.
მექანიზმი	„საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა.
პასუხისმგებელი ორგანო	იუსტიციის უმაღლესი საბჭო

4. გადაწყვეტილებების ტექსტის გამოქვეყნების ფორმატი და გადამუშავების შესაძლებლობა

აუცილებელია, რომ გადაწყვეტილებების სრული ტექსტი ღია ფორმატში ქვეყნდებოდეს (მაგალითად Open Document Text – ODT, XML). ეს არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროგრამისტებსა და საკითხით დაინტერესებულ პირებს იმის საშუალებას მისცემს, რომ ტექსტების კოდირებისა და სასამართლო სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგის მიზნით, შექმნან შესაბამისი აპლიკაციები, ვებ-სისტემები, სტატისტიკური მოდულები და გააუმჯობესონ სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობისა და აღქმადობის ხარისხი.

ამავდროულად, მომხმარებელს უნდა შეეძლოს ტექსტის PDF და Word-ის ფორმატში გადმოწერა.

განსახორციელებელი აქტივობები	განისაზღვროს Info.court.ge - ზე გადაწყვეტილების ტექსტის ღია ფორმატით (Open Format) გამოქვეყნების ვალდებულება;
მექანიზმი	„საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა.
პასუხისმგებელი ორგანო	იუსტიციის უმაღლესი საბჭო

5. დაკავშირებული დოკუმენტაციის მოდული

სასურველია შეიქმნას მოდული, რომელიც გაამარტივებს ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ძიებას. მაგალითისთვის, სააპელაციო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მოძიების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს ამავე საქმეზე რეესტრში დაცული სხვა დოკუმენტებზე პირდაპირი გადასვლა. მომხმარებელმა ნახოს განხილვის რა ეტაპზეა ესა თუ ის საქმე, რომელი ინსტანციის სასამართლო და რომელი მოსამართლე განიხილავს მას, როდისაა ჩანიშნული შემდეგი სხდომა და რა შედეგით დასრულდა წინა სასამართლო სხდომა. სასურველია დაინტერესებულ პირისთვის, აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ვიზუალურად, მარტივად აღქმადი ფორმით.

სასურველია, შესაძლებელი იყოს ცალკეულ საქმეზე სიახლეების გამოწერა, რის მეშვეობითაც მომხმარებელი ავტომატურად მიიღებს საქმესთან დაკავშირებულ განახლებულ ინფორმაციას.

განსახორციელებელი აქტივობები	შეიქმნას დაკავშირებული გადაწყვეტილებების / დოკუმენტების მოდული:
მექანიზმი	„საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა.
პასუხისმგებელი ორგანო	იუსტიციის უმაღლესი საბჭო

6. სასამართლო სხდომათა კალენდარი

მნიშვნელოვანია, რომ ყველა ინსტანციის სასამართლო სხდომების კალენდარი გადაწყვეტილებათა ერთიან რეესტრში (INFO.COURT.GE) განთავსდეს. ამ განყოფილებაში მომხმარებელს უნდა შეეძლოს, საძიებო სისტემით გამოეყენებინოს, ნახოს ცალკეული საქმის დეტალები. ასევე დროის მითითებით შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტულ დღეს დანიშნული სასამართლო სხდომების შესახებ ინფორმაციის მიღება. სასურველია, რომ თითოეული საქმის შემთხვევაში მითითებული იყოს სხდომის ზუსტი დრო, ადგილი, საქმის არსი და ნომერი, განხილვის ეტაპი, სამართალწარმოების უკვე არსებული დოკუმენტები (შუალედური აქტები, ქვედა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები), მონაწილე მხარეთა და მოსამართლის ვინაობა, სასამართლოს დასახელება და სხდომის ადგილი, დარბაზის ნომერი.

განსახორციელებელი აქტივობები	Info.court.ge დაემატოს სასამართლოს სხდომების ელექტრონული კალენდრის განახლებადი მოდული.
მექანიზმი	„საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის“

	დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა.
პასუხისმგებელი ორგანო	იუსტიციის უმაღლესი საბჭო

7. ელექტრონული რეესტრის ხელმისაწვდომობა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ არ შეიცავს დათქმას რეესტრის ადაპტირების შუამდგომლობის საჭიროებებზე. ვფიქრობთ, რომ სასამართლო ინფორმაციაზე შუამდგომლობის პირთა ელექტრონული წვდომის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, რეესტრი უნდა იყოს ადაპტირებული მათ საჭიროებებზე. რესურსების ეკონომიურობის მიზნით, სასურველია აღნიშნული განხორციელდეს შესაბამისი პროგრამული ინტერფეისის შექმნისას.

განსახორციელებელი აქტივობები	დადგინდეს info.court.ge შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირების ვალდებულება
მექანიზმი	„საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა.
პასუხისმგებელი ორგანო	იუსტიციის უმაღლესი საბჭო

8. სტატისტიკა

სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შესაფასებლად აუცილებელია სასამართლო საქმისწარმოების პროცესებისა და შედეგების შესახებ დეტალური სტატისტიკის ონლაინ გამოქვეყნება. უნდა არსებობდეს სტატისტიკის ინტერაქტიული მოდული, სადაც მომხმარებელი სასურველი კატეგორიების მითითებით/ინფორმაციის გაფილტვრით მიიღებს მისთვის საინტერესო რაოდენობრივ მონაცემებს.

განსახორციელებელი აქტივობები	info.court.ge შეიქმნას სტატისტიკის ინტერაქტიული მოდული
მექანიზმი	„საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა
პასუხისმგებელი	იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ორგანო	
--------	--